№ 610 ოთხშაბათი, 19 აგვისტო. 1896—1898 ოთხშაბათი, 19 აგვისტო. № 610

სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ.,
სათ.-აზნაურო ქარვასლა.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართავენ რედაქციას დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 და „წ. კ. საზ.“ წიგნის მაღაზიას.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели“
Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363.

тავ. **ზაალ ნოშრევანის ძე ჭავჭავაძე** აუწყებს რა ნათესავთა, თანა მოსამსახურეთ და ნაცნობთ გარდაცვალებასა კოჯორში 18 აგვისტოს ძმისა თვისისას ტფილისის საგლეხო საკრებულოს წევრისა, დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკის

## თ. იასე ნოშრევანის-ძის ჭავჭავაძისა

სთხოვს განსვენებულის პატივის მცემელთ მობრძანდნენ 21 აგვისტოს დილის 9 საათზე წირვის მოსასმენლად და პანაშვიდზე დასასწრებლად იოანე ღვთის მეტყველის ეკკლესიაში ვერაზე, სადაც იქნება დაკრძალული განსვენებული. პანაშვიდი ყოველ დღე ნაშუადღევის 5 საათზე.

(3—1)

**ВИНОГРАДНЫЕ ПРЕССЫ**
трехъ величинъ
и
**ВИНОГРАДНЫЯ МЯЛКИ**
продаетъ торговый домъ
**С. П. Павловъ и К°**
Тифлиъ. Лорисъ-Меликовская улица № 6. Телефонъ № 349.

**პრესები ყურძნის დასაჭყლეტად**
სამი ნაირის ზომისა
იყიდება ს. პ. პავლოვისა და ამხ.
**სავაჭრო სახლში**
ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 6.
ტელეფონი №349. ტელეფონი № 349.
(15—6)

გამოვიდა და ისყიდება წერა-კითხ. გამავ. საზ. წიგნის მაღაზიაში
**ქართული საერო და სასულიერო კილოები**
შედარების ნიმუშებით
მღვდ. პ. კარბელაშვილისა
ფასი 20 კაპ. (10—2)

**შპალერების საწყობი**
**ი. გ. მელიქიშვილისა**
ტფილისი, სასახლის ქ. სათავ.-აზნ. სახლი № 102
ყოველთვის იშოვება მრავალი ხარისხის შპალერი
ფასი ყველაფერზე იაფია
შპალერი თვითო ნაჭერი 8 კაპ. მოყოლებული 20 მანათამდე
ოთახ-დარბაზების მოსართავი და გასაწყობი სამკაულები.

**Депо обоевъ**
**І. Г. МЕЛИКОВА**
Тифлисъ, Дворцовая ул., д. Грузинскаго Дворянства (бывш. Арцруни) № 102, около муз' магаз. ЛАНКО. (100—42)

**წიგნის მაღაზია**
**მიხეილ გაჩეჩილაძისა**
(იგივე „გლეხის“ ამხანაგობისა)
ვაუწყებთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ ჩვენ გავხსენით
**დ. ყვირილაში**, ჩუბინიძის სახლში
წიგნებისა და საკანცელარიო ნივთეულობის მაღაზია
მაღაზიაში გვაქვს ყოველგვარი ქართული გამოცემანი და სახელმძღვანელოები. ვკისრულობთ აგრეთვე სხვა-და-სხვა წიგნების გამოწერას. ვიღებთ წიგნებს საკომისიოდ გასაყიდათ და აგრეთვე ვაძლევთ ჩვენც ჩვენს გამოცემებს.
მაღაზიასთან გახსნილი გვაქვს **წიგნების საკაზმავი სახელოსნო**, სადაც მზადდება წიგნები სუფთად, იაფად და სწრაფად.
სოფლის მასწავლებლებს სახელმძღვანელო წიგნები, რვეულები და სხ. დაეთმობათ ძლიერ დაკლებულ ფასად.

**ქ. ი. გძელიშვილი**
მიიღებს
ყელისა, ცხვირისა და ყურით ავადმყოფებს.
დილ. 9—11 ს. საღამოზე 5—7 ს.
მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკკლესიის პირდაპირ.
Докторъ **К. И. Гдзелишвили.**
Михайловская, противъ кирки.
(100—39)

ამით აცხადებს, რომ სენაკის სათავად-აზნაურო სკოლაში თავისუფალია ადგილი ორი მასწავლებლისა, და მასწავლებლობის მსურველთ უნდა მიჰმართონ თხოვნით საზოგადოების გამგეობას. (3—2)

იყიდება
„ცნობის ფურცლის“ რედაქციაში
იაფ-ფასიანი
სახალხო გამოცემანი:
თავ. ილია ჭავჭავაძე . 2 კ.
ალექსანდრე ეპისკოპოსი 3 „
სპარსეთის მეფე და ქართველი ტყვე . . . . 2 „
პატარა ბიბლიოთეკა . . 2 „
ვინც ას ცალს გამოიწერს, მანეთზე დაეთმობა ორი აბაზი.
მსურველნი მიჰმართავენ „ცნობის ფურცლის“ რედაქციას. (30—5)

იბეჭდება და მალე გამოვა
**გასაყიდად**
იმერული სცენები, კოტე მესხისა ჯუზეპე გარიბალდი, ბიოგრაფია უკანასკნელი მთავარი სვანეთისა ახუნდი, პოემა ვაჟაფშაველასი ნარა, მოთხრ. ჩოხატაურელისა საქვეყნო სიზმარი, ამბავი დ. მაჩხანელისა. (30—3)

სამკურნალო და ამბულატორია
**ს. გ. თოფურიასი**
ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურ-

გო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან:

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურია.** საქირურგიო ავამყოფობას და სიფილისს **ფ. ქ. გერრატი.** დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**

20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r **ф. ბაცევიჩი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. ქ. ვარშავსკი.**

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საექიმო და საბაქტეოროლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და საჟისთვის.

სამკურნალო დირექტორი **ს. ბ. თოფურია.**

*Лѣчебница С. В. Топурія* въ Кутаисѣ.

# დეპეშები

ბი შეჰკრეს; მშვიდობიანობის უფრო კარგად დასამყარებლად მათ თავიანთი სამხედრო ძალა გაადიდეს და ეხლაც არავითარ მსხვერპლს არა ჰზოგავენ ამ საქმისათვის. მიუხედავად ამისა, ამ ცდამ ჯერ-ჯერობით სასურველი ნაყოფი ვერ მოიტანა. აუარებელი გადასახადი, რომელიც დღითი დღე იზრდება და მძიმე ტვირთად აწევს ხალხს, ძირს უთხრის საზოგადო კეთილ-დღეობას, ხალხის სულიერ და ფიზიკურ ძალას. შრომა და თანხა, უმეტეს ნაწილად, თავის დანიშნულებას სცდება და უსარგებლოდ იხარჯება. აუარებელი მილიონები უნდება ისეთ საქმესა და იარაღს, რომელსაც ხალხის ამოწყვეტა აქვს აზრათ და რომელიც დღეს მეცნიერების უკანასკნელ სიტყვას შეადგენს, ხოლო ხვალ ყოველსავე ფასს დაჰკარგავს, რადგანაც ახალი უკეთესი საომარი რამ იქნება გამოგონილი. ხალხის განათლება და მისი კეთილ-დღეობისა და სიმდიდრის განვითარება ჰფერხდება და ცრუ მიმართულე-

დაცვა და, რამდენადაც შესაძლებელია, შემცირება იმ უზომო შეიარაღებისმ, რომელიც მძიმე ტვირთად აწევს ხალხს. ასეთი შეხედულობა სავსებით ესაბამება კაცთ მოყვარე და გულ-კეთილ მისწრაფებას მისის იმპერატორებითი უდიდებულესობის, ჩემის უავგუსტოესის ხელმწიფისას. საიმპერატორო მთავრობა დარწმუნებულია რა, რომ ასეთის დიდ-მნიშვნელოვანის საგნის განხორციელება ყველა სახელმწიფოსათვის საჭირო და სასურველია, იმ აზრისაა, რომ დღევანდელი დღე სწორედ შესაფერებელია ისეთის საშუალების გამოსაძებნად, რომლის შემწეობითაც უზრუნველ ყოფილ იქმნას ნამდვილი და დაურღვეველი მშვიდობიანობა და, უპირველეს ყოვლისა, შემცირებულ იქმნას აწინდელი შეიარაღება, რომელიც დღითი დღე უფრო და უფრო წინ მიდის. უკანასკნელ ოცის წლის განმავლობაში მშვიდობიანობის დაცვა საერთა-შორისო პოლიტიკამ საგნად გაიხადა. მშვიდობიანობისავე დასაცველად სახელმწიფოთ ურთი-ერთ შორის კავშირე-

დღე უფრო უძნელდება ხალხს. აქედგან აშკარაა, რომ თუ ასეთი მდგომარეობა კიდევ გაგრძელდა, იგი იმ უბედურებამდის მიიყვანს ხალხს, რომლის თავიდგან აცდენასაც სცდილობენ და რომლის ერთი მოგონებაც კი ყველას შიშის ზარსა ჰგვრის. ამ განუწყვეტელის შეიარაღების შემცირება- შესუსტება და ისეთის საშუალების გამოძებნა, რომლის შემწეობითაც შეიძლებოდეს უბედურების თავიდგან აცდენა—შეადგენენ ყველა სახელმწიფოს უმაღლეს ვალდებულებას და საგანს.

„ასეთის გრძნობით აღვსილმა, ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და მოისურვა მივმართოთ სხვა სახელმწიფოთა მთავრობებს, რომელთა წარმომადგენელნიც წარმოგზავნილნი არიან უმაღლესის კარის წინაშე, იმ წინადადებით, რომ კონფერენცია იქმნას მოწვეული ამ მეტად საყურადღებო საგნის განსახილველად. ამ კონფერენციას შეუძლიან შეიქმნეს მომავალის საუკუნოებისათვის კეთილის მომასწავებლად. მას შეუძლიან შეაერთოს იმ სახელმწიფოთა ცდა და მეცადინეობა, რომელნიც გულით არიან მოწადინებულნი, რომ არეულობისა და უთანხმოების ნაცვლად გამეფებულ იქმნას საზოგადო მშვიდობიანობა. ამავე დროს კონფერენციას შეუძლიან შეაკავშიროს სახელმწიფოთა თანხმობა და აღიარებინოს მათ სიმართლე და ჭეშმარიტება, რომლებზედაც დამყარებულია სახელმწიფოს უშიშარი მდგომარეობა და ხალხის წინ მსვლელობა-კეთილდღეობა“.

# ახალი ამბავი

† თავ. იასე ჭავჭავაძე. გუშინ დილით კოჯორში ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პატივცემული თავადი იასე ნოშრევანის ძე ჭავჭავაძე, რომელიც ბატონ-ყმობის გაუქმების შემდეგ 1864 წ. ტფილისის საგუბერნიო საგლეხო საქმეების კრებულის წევრად იყო.

განსვენებული თავადი ნიადაგ ნაწილეობას ღებულობდა ყო... ს ჩვენებურ საქმეში და მთელ ...თლ-კახეთში ცნობილი იყო ...არცა ფრიად გულ-კეთილი, მა...ალი, პატიოსანი და თავ-მდა... ...ი კაცი. საუკუნოდ იყოს ხსე... ...ა მისი!

** ქართული თეატრის საქმე. ...მატიულ საზოგადოების გამგე... ...ს გუშინ საღამოს კერძო კრე... ...მოუხდენია, რომელზედაც მო... ...ვევია ის ახალგაზდა ინტელიგენტები, რომელნიც შარშან ამხანაგურად აწარმოებდნენ თეატრის საქმეს და მათთვის მიუმართავს, თუ შეიძლება წელსაც შეადგინეთ ამხანაგობა წარმოდგენების გასამართავად, რადგან საჭირო ფულის უქონლობისა გამო წელს დრამატიული საზოგადოება იძულებულია ქართულ წარმოდგენებს თავი დაანებოსო, ხოლო ამხანაგობას მივცემთ სუბსიდიათ 500 მან.

კრებაზე დამსწრე ახალგაზდობას სრული თანხმობა გამოუცხადებია და შეჰპირებია ფულის შეგროვებას, ხოლო საქმის წარმოება ჩვენ კი არა, ამხანაგებმა, არამედ საზოგადოების გამგეობამ უნდა იკისროსო, რაზედაც ამ ორ-სამ დღეში გამგეობას ექნება სჯა და კიდეც გადაწყდება ეგ საქმე.

** დრამ. საზოგადოების კრება. ჩვეულებრივი კრება სეზონის დაწყებამდე დრამატიულის საზოგადოებისა, როგორც ისმის, მოხდება ამ თვის დამლევს, ანუ სექტემბრის პირველ რიცხვებში. კრებას მოჰხსენდება აწინდელი მდგომარეობა საქმისა და სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა.

** დიდის მთავარის მიხეილ ნიკოლოზის ძის ჩამობრძანება კავკასიაში. როგორც სატახტო გაზეთები იუწყებიან, დიდი მთავარი მიხეილი, ნამესტნიკად ყოფილი კავკასიაში, უკვე გამომგზავრებულა მოსკოვიდან და ამ ცოტას ხანში ჩამობრძანდება საქართველოში თავის მამულში ბორჯომს.

** საქალებო პროგიმნაზია. როგორც ისმის, ტფილისში აზრათა აქვთ დააარსონ საქალებო პროგიმნაზია, რადგან სწავლის მსურველი მრავალია და არსებულს სამს გიმნაზიაში ადგილი ძლიერ ცოტაა.

** შეღავათი მასწავლებელ ქალებს. როგორც სატახტო გაზეთები იუწყებიან, საერო განათლების სამინისტროს, თურმე, აზრად აქვს, რომ საერო სკოლების მასწავლებელ ქალებს შეღავათი მიენიჭოთ იმით, რომ მათ შვილებს უსასყიდლოდ ასწავლიან ყველა საშუალო თუ მაღალ სასწავლებლებში.

** საქართველოს მარშლები დიდ მთავართან. თავად-აზნაურთა წინამძღოლნი ტფილისის გუბერნიისა თავ. კ. ი. მუხრან-ბატონი და ქუთაისის გუბერნიისა თავ. ს. გ. წერეთელი თურმე წარდგენილან მოსკოვის გენერალ-გუბერნატორის დიდი მთავარის სერგი ალექსანდრეს ძის წინაშე.

** ბ-ნი გუბერნატორი. ტფილისის გუბერნატორი 17 აგვისტოს გორის მაზრიდან ტფილისში დაბრუნდა და გუშინ აღბულაღში წავიდა, სადაც ტვერის დრაგუნთა რაზმის დღესასწაულს დაესწრება.

** **სუფსა** (გურია). საყასბოს იჯარა. სუფსის საყასბოს დამაარსებელ ამხანაგობამ მოახდინა ამ თვის 8-ს სხვილ ფეხი საქონლის საკლავი საყასბოს იჯარით გასაცემი ვაჭრობა, რომელზედაც დაესწრო ყველა მისი წევრები და მიიღეს მონაწილეობა ვაჭრობაშიაც და სხვა მის ავ-კარგზედაც. ვაჭრობა საინტერესო გახდა და შემცილეებმა ასწიეს ერთბაშათ იჯარის ფასი და ყველაზე უფრო მოვაჭრე ელიზბარ მიქელის ძე ჭანიშვილმა, კიდევაც დაირჩინა 205 მან. ერთი წლით.

დღემდის არავის ფიქრადაც არ მოსვლია თანხის ნასარგებლი ფულიდან შეწეოდენ რაიმე საქველმოქმედო საქმეს და დღეს კი ადგილობრივ ბოქაულის ბ-ნ სკოროკოვის ჩაგონებით იჯარის ფულის ერთი მეათხედი გადასდვეს აქაური ეკკლესიის, ანუ სამრევლო სკოლის სასარგებლოდ, რაზედაც ბ-ნი ბოქაული მადლობის ღირსია. სხვათა შორის ვუსურვებთ ახალ

77

მეჯასბეს მინდობილი თანამდებობა სინიდისიერად აესრულებინოს.

წევრი

**** დ. ზუგდიდი.** გზების შესახებ. მოგეხსენებათ, რომ ზუგდიდსა და სენაკს შუა ჯერ რკინის გზა არ არის, თუმცა დიდს იმედს იძლევიან საზოგადოებიდან ამორჩეული ბიზირმანები, რომ უსათუოდ შემოვა ზუგდიდში რკინის გზაო. ამისთანა იმედებმა გაგვიტაცა ოთხი წელია. მაგრამ ამის შემდეგ კი „როცა ვნახავთ ალოს, მაშინ გავლეწოთ კალოს“! შესაძლებელია ჩვენს ბიზირმანებს ეწყინოსთ, მაგრამ ღმერთმა ჰქნას და ჩვენს მურიას დათვი დაეჭიროს და ჩვენც მადლობელნი დავრჩებით. ჩვენ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ამ საქმეში თუ ვინმემ სამადლოდ არ დაგვეხმარა, ისევ ბევრხანს დავრჩებით მსმენელნი ბიზირმანების იმედებისა.

რკინის გზა კი არა, უბრალო სასოფლო გზები არ გვაქვს ხეირიანი. ზუგდიდსა და სენაკს შუა ხიდები ჩამტვრეულია და გზები ოღრო-ჩოღროდ არის გადაქცეული. დელეჟენის ბრაგა-ბრუგი და ნახევარჯერ ფეხით მოგზაურობა, რადგან დელეჟანს გზის უქონლობისა გამო არ შეუძლია გაიაროს, თავს მოგაძულებს. სოფლებშიაც, როცა წვიმს, გაუვალი გზები ხდება. საჭიროა ყოველივე ამას ყურადღება მიექცეს.

ქაჯანა მეთვალყურე

**** ცხინვალი**- მტრობით ვაზების გაჩეხვა. თუ გინდა მოკალ ცხინვალელი და თუ გინდა იმაზე დასწერე რამე, თუნდ დიდი დამნაშავეც იყოს რისამე. მიკვირს რათ უფრთხის ცხინვალელი მართალ წერას, ამაზე იტყვიან ხოლმე: „ავს ნუ იზამ და თავისაც ნუ გეშინიანო“; განა ჩვენთვის კი სასიამოვნოა ადამიანზედ ცუდი ლაპარაკი, ან რა გვაქვს ცხინვალელებთან საერთო, ხოლო ჩვენი პირდაპირი მოვალეობა ის არის, რომ ქვეყნის ავსა და კარგს ვადევნოთ თვალყური და პირ უთვნელი მსჯავრი დავსდოთ, თუ გინდ ბოროტ მომქმედი ღვიძლი ძმაც იყოს. აი დღესაც ამ ერთი კვირის წინ მომხდარი ვაზების აჩეხაზე ვწერ და დარწმუნებულიცა ვარ პირადი მტრობით გატაცებულ იუვნებს არაფრათ ეჭაშნიკება და განა ეს ჩვენი ბრალია. მართლადა თვით ნამდვილ მაცხოვრის გამყიდველსაც კი ხელი აუკანკალდებოდა და მახვილი ხელიდგან გაუვარდებოდა იმ სასიამოვნოდ მსხმოიარე ვაზების ჩეხის დროს; განა ამას ტუს ცოფიანი კაცი ჩაიდენს, ალიით რომ ჩაატარეს უზარ-მაზარი ორი ვაზები, ადამიანს ცრემლები მოსდიოდა. ეს აჩეხილი ვაზები გახლდათ პაპისაშვილისა. ამჩეხის სახელს და გვარს არ ვასახელებთ, სანამდი გამოძიება თავის სინამდვილის ბეჭედს არ დაჰკრავს. გამოძიება უკვე სწარმოებს და განა გამოუძიებლად კი ცოცხალი არ უნდა იმარხებოდეს ასეთი ბოროტ-მომქმედი? კაცო! მე დაგიშავე რამე, დანაშაულში გამისწორდი, გინდ სამართლით, გინდ მკლავით; რას გიშლის ვენახი, რას გიშლის სახლი და სხვა? მაგრამ ნაცარ ქექიას საქმე მეტი რა გახლავთ, თუ არ ცეცხლი და მახვილი. პირველი მაგალითი ნუ გეგონებათ მკითხველო, მაგისთანები ბევრი მახსოვს და ეხლა დროა შურისა და მტრობის მაგიერ ძმობა ერთობა დამყარდეს ჩვენს მხარეში და სხვაგანაც.

— **მომხდარი უბედურობა უხიდობით.** 14 აგვისტოს, ერთი ტყვიაველი ოჯახობა მიადგა ლიახვს და რა ნახა ხიდი გაფუჭემულიყო და მცველიბმა ნება არ მისცეს გასვლისა, ადიდებულ წყალში მოიწადინეს გასვლა. გადაუბრუნდათ შიგ შუა წყალში ურემი და ხალხი ქვეშ მოიყოლა, მაგრამ რაღაც სასწაულმა უვნებლად გადაარჩინა ისინი; გადარჩნენ, მაგრამ ბარგი ბარხანა აიტივტივა წყალმა, მათ შორის ზოგი ხალხმა დაიჭირა და ზოგი კი წყალმა წაიღო.

ამავე დღეს, სალამოს მიადგა ერთი ოსი ახალგაზდა ქალით. აქაც ისეთივე უარი უთხრეს ხიდის მცველთ, როგორიც ზემოთ. რაკი ხვეწნა მუდარამ აღარ გასჭრა, გაბრუნდა უკან და უგზო უკვლოდ ჩაავდო წყალში; ამას უარესი დღე დაადგა. ქალი წყალმა მოიტაცა, გამოედევნა პატრონი ქალს უკან, მაგრამ ამაოდ. საბრალო ქალი უკვე იმსხვერპლა და ერთის ქალიდგან გამოიტანეს. ამისთანა ამბებს მრავლობით უყურებთ დღესაც და ულვაშებში ვიცინით, მაშინ, როდესაც ამ წამებულ ხალხს ტირილიც არ ეკარებათ. საკვირველია, რაღა ეხლა მოუნდათ აშლა ამ ხიდისა, როდესაც დღეობები დღეობებს მოსდევს, ესეც არ იყვეს, გაჭირვებულ ხალხს მოაქვს ზოგს ხორბალი და სხვ. წყალმაც თითქო უჯიბრაო, — ერთი ბეწვა ნაკადული ზღვათ გადაიქცა. ყველგან წესია, რომ ჯერ ერთი ნახევარს შეაკეთებენ და შემდეგ მეორე ნახევარს იმ აზრით, რომ ხალხს მისვლა-მოსვლაში ხელი არ შეუშალოს; ჩვენც ასე ვიქცეოდით, მაგრამ დღეს კი საუბედუროდ, ახალი ოსტატების ახალმა პლანმა აი ეს ნაყოფი მოიტანა, მაგრამ ვინ გითავდებებს, რომ ზარალი ამითი დაბოლოვდა. მრავალს უნდა მოველოდეთ ასეთ შემთხვევებს, თუ ჩვენი ღვინის ხამი ოსტატები დღე და ღამ არ გაისწორებენ; დიდად საჭიროა, ერთი მხარე უცებ შეაკეთონ და გზა გაუხსნან გამვლელ-გამომვლელთ. აგერა დღეს ცხრამეტია და 23-ში კი „გერისთობაა“, სადაც ერთი კვირის შემდეგ იცის ხალხმა დაძვრა. ჩვეულებათა აქვთ, ჯერ გერში მიდიან სალოცავათ (ზოგს კი ღამითა აქვს შეთქმული) და შემდეგ არბოში ჩამოდიან. ამიტომ საჭიროა ჩქარა შეაკეთონ ხიდი, თორემ შესაძლებელია სხვა უბედურება დატრიალდეს.

კვირიკელა

**** მადლობის გადახდა.** ბ. რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გამოვუცხადო იმ პირთ, რომელთაც შემოსწირეს სოფ. ნინოწმინდის სკოლის საყმაწვილო წიგნთ-საცავს სხვა-და-სხვა ქართული და რუსული საყმაწვილო წიგნები.

ირაკლი ავალიშვილმა 30 ცალი ქართულ-რუსული წიგნი, კირილე ზუმბულიძემ 20 ცალი ქართულ-რუსული და სვიმონ თითბერიძემ 3 ცალი ქართული წიგნი.

ღმერთსა ვსთხოვ, რომ სხვასაც მიებაძნოს მათთვის.

ვისაც გული შესტკივა ამ კეთილ საქმისადმი, ვსთხოვთ შემოწირულება გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Ст. Сартачалы, с. Ниноцминда, уч. Ниноцминдской церковно-приходской школы. Гр. Хуціашвили.

ს. ნინოწმინდის სკოლის მასწავლებელი
გრ. ხუციაშვილი

# თეატრის მატიანე

**სურამი.** ქართული წარმოდგენა. 15 აგვისტოს სურამის პარკში გამართულ იყო ქართული წარმოდგენა აქაურის უფასო სამკითხველო-წიგნთ-საცავის სასარგებლოდ. აფიშებში გამოცხადებული იყო „სამშობლო“ 2 მოქმ., რუსულათ „დათვი“ და დივერტისმენტი. მონაწილეობას ღებულობდნენ: ქქ. გაბუნია-ცაგარლისა, კარგარელისა, ხითაროვისა; ბბ. კ. ყიფიანი, კოტე მესხი, სვიმონიძე, შათირიშვილი და გალუსტოვი. დასასრულ საერთო ევროპიული ცეკვა. გაბუნია-ცაგარლისა და კ. მესხი არ იყვნენ სრულებით და არ ვიცით რა მიზეზია. რაც შეეხება ცეკვას, ეგეც სწორედ არ გვესმის, რა იყო მიზეზი, რომ თერთმეტი საათის შემდეგ მუსიკამ აღარ დაუკრა. არ ვარგა ამ გვარი მოქცევა საზოგადოებასთან.

საზოგადოდ ამ სალამოს უთავბოლობა ბევრი იყო. ვისაც აბაზიანი ბილეთი ჰქონდა, საუკეთესო ადგილები მათ ეჭირათ და ვისაც ფასიანი ბილეთები ჰქონდათ, დასაჯდომ ადგილსაც ვერ შოულობდნენ.

წარმოდგენის გამგე ალ. ნათაძეას ნაჭრად ვერ გადიქცეოდა და ყველა საქმეს ვერ გასწვდებოდა; უნდა ჰყოლიყო მომხრეები და თანაშემწენი. ერთად-ერთი დამხმარებელი გამგესი იყო ალ. კუბანიევი, რომელიც ძალ-ღონის-დაგვარად შველობა.

რაც შეეხება წარმოდგენას, ისიც სუსტობდა. რუსულ ვოდევილს არა უშავდა-რა.

შემოსავალი ოც-და-ათ თუმნამდე იქნებოდა. რაც შეეხება თვით წიგნთ-საცავის გარემოებას, ამაზე ცოტა რასმე შემდეგ ვიტყვით.

ვანო

# სამეურნეო ცნობა

## საზოგადო ბაღოსნობის სწავლა და მისი შედეგი

(გაგრძელება. იხ. «ცნ. ფურც.» № 609)

ჭაერის გავლენა თესლის ამოსვლაზე. როგორც ადამიანს და სხვა სულდგმულ ცხოველებს არ შეუძლიანთ უჰაეროდ არსებობა, ისე მცენარეებიც ვერ იცოცხლებენ უჰაეროდ. თესლი რომ იმისთანა წყალში ჩავყაროთ, სადაც ჰაერი არ არის, მაგალითად ადუღებულ და გაცივებულ წყალში, ამისთანა წყალში თესლი ვერ ამოვა. ან-და თუ ჩავყაროთ თესლი ჩვეულებრივ წყალში, სადაც ჰაერი არის და დრო გამოშვებით წყალი არ გამოუცვალეთ, თესლი არ ამოდის, რადგანაც იგი პირველშივე ღახარჯავს წყლის ჰაერს და შემდეგისათვის აღარა რჩება. ამისთანა მოვლენას შევატყობთ მაშინაც, თუ წყალში ჩავასხამთ ზეთს; რადგანაც ზეთი წყალზე მჩატეა, ზევით ამოვა, წყალს გადაეკვრება და ჰაერს წყალში ჩასვლას დაუშლის. ამნაირი გავლენა აქვს აგრეთვე აზოტოვანს და ნახშირ-მჟავბადიან ატმოსფერას. მცენარის ამოსვლისათვის ძალიან საჭირო არის მჟავდედა (0). მჟავდედას სხვა წვლილის შეუწევნელად მცენარე ერთობ ჩქარა ამოჰყავს მიწიდამ, მაგრამ შემდეგ-კი ჩერდება; თუ მჟავდედასთან სხვა წვლილი არის, — მაგალ. წყალ-ღედა, თესლი კარგად ამოდის და ხარობს. ცდის დროს მჟავდედა და წყალ-ღედა იმდენი უნდა იყოს, რამდენიც ჰაერშია. აქედან ჩვენ ვხედავთ, რომ თესლის ამოსვლისათვის აუცილებლად საჭიროა ჰაერი (მჟავ-ღედა), სითბო და წყალი, თუ არა უამისოდ ჩვენი შრომა უბრალოდ დაიკარგება.

შენიშვნა: 1) თესლზე სინათლის გავლენის შესახებ ხეისლერი ამბობს შემდეგს:

ა) სხვა-და-სხვა გვარ თესლებისათვის სინათლეს აქვს სხვა-და-სხვანაირი გავლენა: ფითრის თესლი უსინათლოდ ვერ ამოდის, ხორბალი და სიმინდი სინათლეზედაც ამოდის და უსინათლოდაც. წვრილ-წვრილი თესლები სინათლეში უკეთესად ამოდის, ვიდრე ბნელში, რადგანაც თავიანთში ცოტა საზრდო აქვთ შეგროვილი: თუ თესლში საკმარისი საზრდო არის—სინათლესა და სიბნელეს ერთნაირი გავლენა აქვს.

ბ) ყვითელი სხივი ამოსვლას აჩქარებს.

გ) თეთრი სხივი მცენარეებს სიმაგრესა და სიმაღლეს აძლევს.

დ) სინათლეში მცენარეები თანაბრად იზრდებიან.

ე) წვრილი თესლი თეთრი სხივების ძალით ამოდის.

**რა მიზეზების გამო მატულობს ტემპერატურა თესლის ამოსვლის დროს.** ამ მოვლენის მიზეზი ისაა, რომ ა) აზოტოვანი და უაზოტო ორგანიული ნაწილები მჟავ-ბადის მოქმედებით ჟანგდება. ეს ნაწილები იშლებიან და ავსებს ცილისა და თესლ-ბიბილოების კანს. ამ დროს მატულობს სითბო. ბ) ამოსვლის დროს მცენარე ბლომად ჰნთქავს წვლილებს, რომლებიც ვითომ-და ერთმანეთს აწვებიან, იკუმშებიან და ამის ძალით მატულობს სითბო. გ) წყალიც სქელდება, როცა სახამებელი მარცვლებში ჩადის. ეს მოქმედებაც ტემპერატურის მომატების მიზეზით ხდება.

ნ. კურნალი

(შემდეგი იქნება)

## ყურმოკრული საუბარი

—

მასწავლებელი შეხვდა მოწაფეს, რომელიც სამხიარულო ბაღიდან გამოდიოდა.

— განა არ იცით, რომ მოსწავლეთათვის აღკრძალულია ამ გვარ ბაღებში შესვლა?

— დიახ, დიახ, ვიცი რომ შესვლა აღკრძალულია, მე ხომ არ შევდივარ, მხოლოდ გამოვდივარ!

## განცხადებანი

ქ. ქუთაისი
ამ წლის ენკენისთვეში
ყოვასო სამკითხველოს
ფონდისთვის
გამართული იქნება
ვაჭრობა-ბაზრობა
დიდის მადლობით მივიღებთ ყოველ-გვარ შემოწირულებას ამ კეთილი საქმისათვის.
(12—8) ელენე ჯინოშვილისა

ახლად გახსნილი
სტამბა
„ცნობის ფურცლისა“
ტფილისი, სასახლის ქ., სათავად-აზნაურო ქარვასლაში №№ 119 120 და 121
სტამბა ყოველისფრით სავსე და მოწყობილია
ყოველგვარი საქმე სრულდება სწრაფად. სუფთად და იაფად.
სტამბა ასრულებს აგრეთვე პროვინციის მცხოვრებთა შეკვეთას, მსურველნი მიჰმართავენ სტამბას, რომელიც კისრულობს ხელ-ნაწერების აწყობას, დაბეჭდვას, ქაღალდის ყიდვას, კორექტურას, ენის შესწორებას, საცენზუროდან ნება-რთვის აღებას და სხ.
ჰბეჭდავს სავიზიტო ბარათებს სხვა-და-სხვა გვარ ქაღალდზე ვაჟებისა და ქალებისათვის იაფად და შნოიანად.
ВОВНОВЬ ОТКРЫТОЙ
ТИПОГРАФІИ
„Цнобисъ Фурцели“
В. Л. ГУНІА
Тифлисъ, Дворц. ул., д. Грузинскаго Дворянства.
Исполняются всевозможные заказы на всѣхъ Туземныхъ и Европеискихъ языкахъ
Дешевизна, изящество и быстрота исполненія

ურბენი L'urbain
საზოგადოება, რომელიც აზღვევს თანხებს, მზითვებს, შემოსავლებს და სხვა. შეღავათიანის პირობებით ავადმყოფობისა თუ შეუძლებლობის დროსათვის.
დაზღვეულთ მონაწილეობა ეძლევათ მოგებაში დაზღვევის პირველ წლიდანვე.
კონტორა ამიერ-კავკასიისა, ამიერ-კასპიისა, თურქესტანისა და ბუხარის მხრისათვის იმყოფება ტფილისში, მიხეილის ქ. № 9, პოპოვის სახლი. ტელეფონი № 543.
მთავარი რწმუნებული ბაგრატ გერასიმეს ძე ტერ-მათეუზოვი
ინსპექტორი ნიკოლოზ გერასიმეს ძე ტერ-მათეუზოვი.
ცნობანი და ბარათები ყველას მიეცემა აგენტებისაგან მთელს რუსეთის იმპერიის ქალაქებში.
Контора страховаго общ. „УРБЭНЪ“
Тифлисъ, Михайловская № 9, д. Попова. Телефонъ № 543.
(50—27)

საზღვევი საზოგადოება
„იაკორი“
უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს მოსკოვში
ტფილისის უმთავრესი სააგენტო
დებულობს
დაზღვევას ცეცხლისაგან
ყოველ-გვარ უძრავ და მოძრავ ქონებისას.
დაზღვევას სიცოცხლისა და თანხებისა
შეღავათიანის პირობებით, მაგალითად შეღავათი იმ შემთხვევაში, როცა დაზღვეულს შრომა არ შეუძლიან და აგრეთვე დაზღვეულს სარგებლობა ეძლევა საზოგადოების მოგებიდან
დაზღვევა უბედურ შემთხვევისაგან
მიიღებიან საერთოდ დაზღვევა მუშებისა, ქარხნებსა და სახელოსნოებში, აგრეთვე დაზღვევა კერძო პირებისას
დაზღვევა გაგზავნილ საქონლებისა
ზღვაზედ, მდინარეებზედ თუ ხმელეთზედ, აგრეთვე დაზღვევა გემებისა
თხოვნებით და ყოველ-გვარ ცნობათა შეხატყობად დაზღვევაზე შეიძლება მიჰმართონ ტფილისის კონტორაში უმთავრესს აგენტს ალექსანდრე გრიგოლის-ძეს სერგეევს, ერევნის მოედნის ყურში თავ. ციციშვილის სახლებში № 2. და აგრეთვე მოსკოვში საზოგადოების გამგეობაში.
Страховое Общество „ЯКОРЬ“
Высочайше утвержденное въ 1872 г. въ Москвѣ
Принимаетъ: 1) Страхованіе отъ огня, 2) страхованіе жизни и капиталовъ, 3) страхованіе отъ несчастныхъ случаевъ и 4) страхованіе транспортовъ.
Контора Тифлисскаго Главнаго Агента Александра Григорьевича Сергѣева
на углу Эриванской пл. д. кн. Циціанова № 2. (50—40)

КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ,
состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:
1) Бухгалтеріи двойной итальянской по разнымъ отраслямъ тортовой промышленности,
2) Коммерческой ариѳметики (банковыя и торговыя операціи),
3) Ариѳметики на счетахъ.
4) Коммерческой экономіи,
5) Торговыхъ и вексельныхъ узаконеній.
препомдаетъ И. Я. БРОНЪ ФОНЪ-БРЕННЕРЪ, гл. бухгалтеръ общ. взаимн. сель.-хоз. кредита и препод. школы садоводства.
Плата за весь курсъ 60 руб.
Курсъ 3-мѣсячный, при ежедневныхъ занятіяхъ въ теченіе 2-хъ часовъ, по вечерамъ. Начало занятій—1-е число каждаго мѣсяца.
Аттестаты за успѣшныя занятія отъ реальнаго училища и школы садоводства.
Составленная И. Я. Бронъ фонъ-Бреннеръ книга «Коммерческая ариѳметика» содержитъ въ себѣ VП отдѣловъ: 1) ариѳметич. вычисленія на счетахъ, 2) монетныя вычисленія, 3) товарныя сдѣлки, 4) вексельныя операціи, 5) торговыя товарищества, 6) банки и ихъ операціи, 7) биржевыя операціи (520 задачъ и таблицы). Цѣна 2 руб. Продается во всѣхъ книжныхъ магазинахъ и у автора: Михайловская ул., № 71, и Барятинская, сельско-хоз. банкъ.
(100—39)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 18 Августа 1898г. სტ. „ცნ. ფურც.“ (გ. გუნიასი), სას. ქ. სათ.-აზ. ქარვ. რედაქტორ-გამომცემელი გ. გუნია